

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი № 23

„15“ დეკემბერი 2023 წ.

ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ბურდიაშვილი;

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ალექსანდრე შათირიშვილი;

საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ლილუაშვილი;
ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თინათინ ხანჯალიაშვილი;
სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე
გიორგი ხაჭაპურიძე;
ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე დავით ღაღანიძე;

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე
ოთარ ესიტაშვილი;

საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში
განსახილველად გადანაწილების შესახებ.

მომხს. მ.ბურდიაშვილი

1.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს
კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.

მომხს. მ.ბურდიაშვილი

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში განსახილველი საკითხები
განაწილდეს შემდეგი სახით:

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და
ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომა

1. „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „60+ ბებია და პაპების კლუბისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.
2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ვახტანგ ხუციშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.
3. თინათინ ჩეკურიშვილის მიერ ქ. თელავში, კავკასიონის ქუჩაზე მდებარე 432 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.
4. თელავის ჭადრის ხისთვის ადგილობრივი მნიშვნელობის დაცული ხის სტატუსის მინიჭების შესახებ.

საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა

1. „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.
2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.
3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N04 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.
4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 იანვრის N02 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომა

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.
2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.
3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №20 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.
4. თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.
5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N04 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.
6. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 იანვრის N02 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი



მამუკა ბურდიაშვილი